დამტკიცებულია რექტორის 2010 წლის 30 სექტემბრის №03-759 ბრძანებით.

შეტანილია ცვლილებები რექტორის 2011 წლის 8 დეკემბრის №03-1148 და 2013 წლის 5 აპრილის №03-658 ბრძანებებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ

აკადემიური შვებულებით სარგებლობის წესის შესახებ

1. ეს წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური შვებულებით სარგებლობის წესს.

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს აკადემიური შვებულებით ამ წესის შესაბამისად.

3. აკადემიურ შვებულებაში სტუდენტი შეიძლება გაშვებულ იქნას შემდეგ შემთხვევებში:

ა) მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც მოითხოვს ქირურგიულ ჩარევას ან ხანგრძლივ მკურნალობას;

ბ) მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო;

გ) სასწავლებლად საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწვევის გამო, როცა სტუდენტი შესაბამის უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას იწყებს ან განაგრძობს პროფესიულ უმაღლეს, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა ან დოქტორანტურის პროგრამაზე.

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განიხილოს აკადემიური შვებულების მიცემის საკითხი სხვა ისეთი ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელიც სტუდენტს ხელს უშლის სწავლის გაგრძელებაში და რაც დასაბუთებული უნდა იყოს დოკუმენტებითა და არგუმენტებით. ასეთ შემთხვევაში აკადემიური შვებულების მიცემის მიზანშეწონილობის საკითხს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, წყვეტს უნივერსიტეტის რექტორი.

5. აკადემიური შვებულების ვადა მოიცავს არანაკლებ ერთ სასწავლო სემესტრს.

6. სტუდენტს აკადემიური შვებულებით შეუძლია ისარგებლოს არაუმეტეს ხუთი წლის ვადისა. ხუთი წლის შემდეგ პირს, რომელიც არ გააკეთებს განაცხადს სწავლის გაგრძელების შესახებ უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7. სტუდენტი, რომელსაც სურს ისარგებლოს აკადემიური შვებულებით, განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს. აკადემიურ შვებულებაში გასვლის თაობაზე სტუდენტის განცხადებაში მითითებული უნდა იქნას:

ა) სტუდენტის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი;

ბ) ფაკულტეტი, სპეციალობა და სწავლების წელი;

გ) ის სასწავლო სემესტრი, რომელი სემესტრიდანაც მას სურს აიღოს აკადემიური შვებულება.

დ) მიზეზი, რომლის გამოც სტუდენტი იღებს აკადემურ შვებულებას და მისი დამადასტურებელი დოკუმენტები;

ე) განცხადების შეტანის თარიღი;

8. სტუდენტმა აკადემიური შვებულების შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს უნდა მიმართოს შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ვადის დაცვა ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია.

9. სტუდენტის აკადემიურ შვებულებაში ყოფნა იწვევს მისი აკადემიური და ფინანსური ვალდებულებების შეჩერებას აკადემიურ შვებულებაში ყოფნის ვადით. იმ შემთხვევაში თუ სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტუდენტი გადის აკადემიურ შვებულებაში სასწავლო სემესტრის დაწყების შემდეგ, შვებულებაში გასვლით მას შეუჩერდება დავალიანებისა და სწავლის საფასურის გადახდის დაგვიანებისათვის დაწესებული პირგასამტეხლოს გადახდა აკადემიური შვებულების პერიოდში. დავალიანებისა და პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ამოქმედდება სტუდენტის აკადემიური შვებულებიდან გამოსვლისთანავე.

10. სტუდენტის განცხადება აკადემიური შვებულების შესახებ განსახილველად გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს. განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად თუ განცხადებაში მითითებული საფუძვლები ამ წესის მესამე მუხლითაა განსაზღვრული, სამი დღის ვადაში ფაკულტეტი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს მონაცემებს სტუდენტის შესახებ (სტუდენტის ჩარიცხვის, სწავლების წელი, დაბადების თარიღი, პირადობის მოწმობის პირადი ნომერი, აკადემიური პროგრამის დასახელება, დამატებითი საჭირო ინფორმაცია) და მოსაზრებას სტუდენტის აკადემიურ შვებულებაში გაშვების საკითხის გადასაწყვეტად. ხოლო თუ სტუდენტის მიერ განცხადებაში მითითებული საფუძველი სცილდება ამ წესის მესამე მუხლით განსაზღვრულ საფუძვლებს, ფაკულტეტი ხუთი დღის ვადაში უნივერსიტეტის

რექტორს გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს დასაბუთებულ უარს ან თანხმობას სტუდენტის მიერ აკადემიური შვებულების სარგებლობის შესახებ.

11. აკადემიური შვებულება წყდება სტუდენტის განაცხადის საფუძველზე. აკადემიური შვებულების შეწყვეტა ხდება შესაბამისი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე. აკადემიური შვებულების შეწყვეტის შემდეგ, თუ იგი არ აღემატებოდა სამ წელს, სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ პირობით რა პირობითაც აკადემიურ შვებულებაში გასვლამდე სწავლობდა უნივერსიტეტში, თუ აკადემიური შვებულება აღემატებოდა სამ წელს, მაშინ სტუდენტი სწავლას აგრძელებს ახალი, იმ პერიოდისათვის უნივერსიტეტში მოქმედი პირობებით.

12. აკადემიური შვებულების შეწყვეტის შესახებ სტუდენტი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა მიმართავს შესაბამის ფაკულტეტს, რომელიც სამი დღის ვადაში უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს მონაცემებს სტუდენტის შესახებ, შესაბამისი ბრძანების გამოცემის მიზნით.

13. სტუდენტის აკადემიურ შვებულებაში ყოფნა და აკადემიური შვებულების შეწყვეტა ფორმდება რექტორის ინდივიდიულური აქტით, უარი აკადემიური შვებულებით სარგებლობის შესახებ სტუდენტს უნდა ეცნობოს წერილობით.

14. აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებული სტუდენტი იხდის მასსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით დადგენილ გადასახადს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში.

15. იმ შემთხვევაში თუ ის სასწავლო კურსი, სპეციალობა, რომელზეც სწავლობს სტუდენტი მილევადია, ერთჯერადია ან არსებობს სხვა მსგავსი გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის დაბრუნებული სტუდენტის სწავლის გაგრძელებას იმ პირობით რა პირობითაც იქნა ჩარიცხული და აკადემიურ შვებულებაში გასვლამდე სწავლობდა უნივერსიტეტში, მაშინ უნივერსიტეტი სთავაზობს დაბრუნებულ სტუდენტს ყველაზე ახლოს მყოფ სასწავლო კურსს, სპეციალობას.“